# ხელშეკრულება №141

## პროგრამის „SuperFin 6“ შესახებ

## (ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

**წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2020 წლის 21 დეკემბერი**

ერთი მხრივ – **შ.პ.ს. “ქართული პროგრამული სისტემები”**, (შემდგომში **შემსრულებელი**), ადმინისტრაციული დირექტორის, გრიგოლ გრძელიშვილის სახით და მეორეს მხრივ **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი** (შემდგომში **დამკვეთი**), დირექტორის თენგიზ ქუტიძის სახით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

**1.1.** ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში **დამკვეთი** უფლებამოსილია დაუკვეთოს, ხოლო **შემსრულებელი** ვალდებულია მოახდინოს **„SuperFin 6”** ერთმომხმარებლიანი ვერსიის ერთი ცალი პროგრამული პროდუქტის მიწოდება, რითაც **დამკვეთი** ავტომატურად იღებს **‘ვებ-სუპერფინის’** **superfin.gss.ge** შეუზღუდავი რაოდენობის მომხმარებელბით სარგებლობისა და **დანართი** 3–ში აღწერილი ყველა მომსახურების მიღების უფლებას.

## 2. შემსრულებლის ვალდებულებები და უფლებები

**2.1.** **შემსრულებელი** ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს შეძენილი პროგრამის **„SuperFin 6“** აქტივაცია.

**2.2.** **შემსრულებელი** ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი სამუშაო დღის მანძილზე დაარეგისტრიროს **დამკვეთი** თავის სერვერზე, ამავე სერვერზე (Online რეჟიმში) არსებული ყველა საჭირო დოკუმენტით სარგებლობისათვის.

**2.3.** **შემსრულებელი** ვალდებულია მისცეს საშუალება **დამკვეთს** განაახლოს შეძენილი პროგრამა “SuperFin 6” **შემსრულებლის** ინტერნეტ სერვერიდან.

**2.4.** **დამკვეთის** მიერ ანგარიშსწორების შეუსრულებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში **შემსრულებელს** აქვს უფლება წამოაყენოს პრეტენზიები.

**2.5.** იმ შემთხვევაში, თუ **დამკვეთის** მიერ აღმოჩენილი იქნება რაიმე შეცდომა პროგრამასთან **“SuperFin”** მუშაობისას, **შემსრულებელი** ვალდებულია აღმოფხვრას არსებული უმოკლეს ვადაში, რომელიც დათქმული იქნება ორივე მხარის მიერ.

**2.6.** **შემსრულებელის** მიერ **დამკვეთის** მხრიდან მოთხოვნილი დამატებითი მომსახურება ფასიანია. დამატებითი მომსახურების სახეები და ტარიფები მითითებულია **დანართში** 2.

**2.7.** აღნიშნული კონტრაქტით დადგენილი ფასების ცვლილების შემთხვევაში **შემსრულებელი** ვალდებულია წინასწარ (არანაკლებ 1 კვირით ადრე) ელექტრონული ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით აცნობოს **დამკვეთს** აღნიშნულის შესახებ.

**2.8.** პროგრამული პროდუქტის ქსელური ვერსიის შემთხვევაში, მისი სერვერული ნაწილის, ინსტალაცია ხდება მხოლოდ ერთ კომპიუტერზე და შესაბამისად, განახლებებიც კეთდება მხოლოდ ამ ერთი ლიცენზირებული კოპიისათვის.

დამკვეთი _____ შემსრულებელი _____

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი
LEPL OZURGETI MUNICIPALITY SERVICE CENTER
GEORGIA
437371915

ერთ დენიმე კომპიუტერზე პროგრამის ერთი და იგივე ლიცენზირებული კოპიის ინსტალაციის შემთხვევაში **შემსრულებელი** არ იღებს პასუხისმგებლობას პროგრამის კორექტულ მუშაობაზე. არალიცენზირებული კოპიის აღმოჩენის შემთხვევაში **შემსრულებელი** იტოვებს უფლებას საზღაურის გარეშე შეუწყვიტოს **დამკვეთს** ყველა ლიცენზია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი მომსახურების ვადა არ იქნება გასული.

**2.11.** იმ შემთხვევაში, თუ **დამკვეთი** ხელშეკრულების პირობებს არ შეასრულებს, **შემსრულებელს** აქვს უფლება:

- გადაიტანოს შესასრულებელი სამუშაოს ვადა;
- მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება;
- მოითხოვოს იმ ხარჯების დაფარვა, რომლებიც გამოწვეული იქნა ამ სამუშაოს შეწყვეტით, ან შესასრულებელი სამუშაოს ვადის გადატანით.

**2.12.** **შემსრულებელი** ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობა **დამკვეთის** კომერციულ და ტექნიკურ ინფორმაციაზე.

## 3. დამკვეთის ვალდებულებები და უფლებები

**3.1.** **დამკვეთი** ვალდებულია, მკაცრად დაიცვას და არ დაარღვიოს **შემსრულებლის** მიერ დადგენილი ლიცენზიური შეთანხმების (**დანართი 1** რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს) თითოეული პუნქტი და მოითხოვოს აღნიშნულის დაცვა საბოლოო მომხმარებლისაგან.

**3.2.** **დამკვეთს** უფლება აქვს განახორციელოს პროგრამისა და მონაცემთა ბაზის კონტროლი, რათა დარწმუნდეს სამუშაოს შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. თუ შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა, რომ პროგრამას გააჩნია რაიმე დეფექტი, **შემსრულებელი** ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა.

**3.3.** **დამკვეთი** ვალდებულია დროულად მოახდინოს ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული ფინანსური ანგარიშსწორება.

**3.4.** როგორც საწყისი, ისე ხელახალი ინსტალაციის შემდეგ, **დამკვეთმა** უნდა გაიაროს რეგისტრაცია **შემსრულებლის** სერვერზე. მომხმარებლის რეგისტრაციის გარეშე პროგრამა მუშაობს შეზღუდულად.

## 4. ანგარიშსწორება

**4.1.** **"SuperFin 6"** ერთმომხმარებლიანი ვერსიის ერთი ცალი პროგრამის ღირებულება შეადგენს 816 (რვაასთექვსმეტი) ლარს და მასზე მომსახურების ვადა განისაზღვრება 01/01/2022 თარიღამდე.

**4.2.** მომსახურების მოქმედების ვადის 1 თვით გასაგრძელებლად გადასახადის ღირებულება **"SuperFin 6"** ერთმომხმარებლიანი ვერსიის ერთ ცალ პროგრამულ პროდუქტზე განისაზღვრება 68 (სამოცდარვა) ლარით.

**4.3.** 4.1 პუნქტით განსაზღვრული თანხის გადახდა ხორციელდება თვეების მიხედვით განაწილებულად, ყოველი საანგარიშო თვის დასრულების შემდეგ, **შემსრულებლის** მიერ წარდგენლი მიღება-ჩაბარების აქტის ან ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, რომელიც გამოიწერება საანგარიშო თვის მომსახურებისა და გაწეული დამატებითი მომსახურების შესაბამისად. აღნიშნული თანხის გადახდა ხდება საბუთის წარდგენიდან 6 კალენდარული დღის პერიოდში.

## 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

დამკვეთი _____ შემსრულებელი _____

437371915

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

**შემსრულებლის** ან **დამკვეთის** მხრიდან ხელშეკრულებაში არსებული მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ წერილობით ან ელექტრონული ფოსტით უნდა გაკეთდეს განაცხადი მომსახურების შეწყვეტამდე მინიმუმ ათი სამუშაო დღით ადრე.

**5.3.** მომსახურების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ **დამკვეთს** ეზღუდება პროგრამის განახლების უფლება **შემსრულებლის** სერვერიდან, ასევე მას ეძლევა **"SuperFin 6"** პროგრამასთან შეზღუდული მუშაობის საშუალება. **შემსრულებელი** იტოვებს უფლებას თვითონ განსაზღვროს ამ შეზღუდვების ფარგლები.

## 6. სადაო საკითხების გადაწყვეტა

**6.1.** ყველა სადაო საკითხი და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და რომელთა გადაჭრაც არ ხერხდება ურთიერთმოლაპარაკებით (ურთიერთშეთანხმებით), შეიძლება გადაწყდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 7. ფორსმაჟორი

**7.1.** ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება, შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას ფორსმაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

**7.2.** ფორსმაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული **დამკვეთისა** და **შემსრულებლის** შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

**7.3.** ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხეხრხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**7.4.** ფორსმაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

## 8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ყოველდღიურ კონტროლს **დამკვეთის** მხრიდან ახორციელებს; საფინანსო სამსახურის უფროსი ნინო ინწკირველი

## 9. ცვლილებები

**9.1.** ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების

**დამკვეთი** _____ **შემსრულებელი** _____

437371915
LE. OZURGETI MUNICIPALITY SERVICE CENTER
GEORGIA

ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები **დამკვეთისთვის**. ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ იქნება ინფლაციის მაღალი დონე, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება, საგადასახადო რეჟიმის შეცვლა და სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები.

**9.2.** ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების **დანართის** სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. სანქციები

**10.1.** **დამკვეთის** მხრიდან ფინანსური ანგარიშსწორების დაგვიანების შემთხვევაში, **დამკვეთს** ავტომატურად შეუწყდება პროგრამის **"SuperFin"** განახლების საშუალება, ამასთან დავალიანების სრულ დაფარვამდე პროგრამა იმუშავებს შეზღუდულად.

## 11. სხვა პირობები

**11.1.** წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. ერთი – **დამკვეთს**, მეორე – **შემსრულებელს**.

## 12. მხარეთა რეკვიზიტები

**12.1. დამკვეთი:**

ა(ა)იპ„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი"
ს.კ437371915 მისამართი:ოზურგეთი,გ.გიორგაძის ქ7
მიმღები ბანკი:სახელმწიფო ხაზინა ბკ.**TRESGE22** GE24NB0330100200165022
*Email:oz.serviscentri@gmail.com*
*დირექტორი; თენგიზ ქუტიძე*

**12.2. შემსრულებელი:**

შ.პ.ს. "ქართული პროგრამული სისტემები", ს/კ 202198754

**მისამართი:**

0186, თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. N8

**საბანკო მონაცემები:**

სს "თი ბი სი ბანკი" კოდი TBCBGE22 ა/ა GE41TB0600000027467795

**დამკვეთი** **შემსრულებელი**

ბ. ა. ბ. ა.

დამკვეთი _____ შემსრულებელი _____

ითი 1

## ...იცენზიური შეთანხმება

1. **ლიცენზიური უფლებები**. მოცემული ლიცენზიური შეთანხმება აძლევს **დამკვეთს** უფლებას გამოიყენოს პროგრამული პროდუქტი **„SuperFin 6"** და მისი ერთი სარეგისტრაციო ნომერი ერთ კომპიუტერზე ან ქსელური ვერსიის შემთხვევაში შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე. ეს ლიცენზიური შეთანხმება არ ვრცელდება იმ პროგრამულ პროდუქტებზე, რასაც იყენებს პროგრამა **„SuperFin 6"** მონაცემების შენახვისა და ექსპორტირებისათვის. მათზე ლიცენზიების შეძენა არის **დამკვეთის** ვალდებულება.

2. **საავტორო უფლებები**. პროგრამული პროდუქტი არ წარმოადგენს **დამკვეთის** საკუთრებას, პროგრამული პროდუქტის სურათების, ტექსტების, ანიმაციების და აპლიკაციების ჩათვლით. **დამკვეთს** არა აქვს მისი მოდიფიკაციის, ადაპტაციის, სტრუქტურის შეცვლის, სხვა ენაზე გადათარგმნის, დეკომპილაციის, გაქირავების და აგრეთვე ამ პროგრამული პროდუქტის საფუძველზე ნაწარმოები პროდუქტების შექმნის უფლება.

3. **უფლებების გადაცემა**. მოცემული ლიცენზიური შეთანხმებით **დამკვეთს** ეკრძალება მისთვის მინიჭებული უფლებების მესამე მხარისათვის გადაცემა.

4. **მოქმედების ვადა**. ლიცენზიური შეთანხმება მოქმედებს მანამდე, სანამ იგი არ იქნება გაუქმებული. **შემსრულებელს** აქვს უფლება დაუყონებლივ გააუქმოს ლიცენზიური შეთანხმება **დამკვეთის** მიერ მისი რომელიმე პუნქტის დარღვევის შემთხვევაში. ამ დროს **დამკვეთს** ჩამოერთმევა მოცემული ლიცენზიური შეთანხმებით მინიჭებული უფლება გამოიყენოს პროგრამული პროდუქტი.

5. **შეზღუდული გარანტია**. პროგრამული პროდუქტის მუშაობაში რაიმე დეფექტის შემჩნევისას **დამკვეთს** შეუძლია აცნობოს **შემსრულებელს** ან მის რომელიმე პარტნიორს. ისინი შეეცდებიან აღნიშნულის აღმოფხვრას უმოკლეს ვადაში. **შემსრულებელი** არ იღებს პასუხისმგებლობას პროგრამული პროდუქტის გამოყენებით საბოლოო მომხმარებლის მიერ საქმიანობის იურიდიულად და ფინანსურად სწორ წარმართვაზე. აგრეთვე **შემსრულებელი** არ აგებს პასუხს რაიმე პირდაპირი, ირიბი, უცაბედი ან სხვა დაზიანებისათვის, როგორიცაა მონაცემების დაკარგვა და სხვა. **დამკვეთის** მონაცემების მთლიანობაზე პასუხს აგებს თვითონ **დამკვეთი**. ამასთან აღსანიშნავია, რომ პროგრამის მუშაობა იყო ტესტირებული და შესაბამისად, მიღებული იქნა მაქსიმალური ზომები მისი სტაბილური და უსაფრთხო მუშაობისათვის.

6. **რეკომენდაცია**. **შემსრულებელი** იძლევა რეკომენდაციას პროდუქტის შეძენის შემდეგ სწავლების კურსის ჩატარება მოახდინოს იმ ორგანიზაციამ ან კერძო პირმა, რომელსაც ექნება ამ პროდუქტზე სწავლების უფლების "სერთიფიკატი".

MUNICIPALITY SERVICE CENTER
437371915

დამკვეთი _____ შემსრულებელი _____

ანართი 2

## დამატებითი მომსახურების ტარიფები

SuperFin 6

გადახდა ხორციელდება აშშ დოლარის ექვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში, მომსახურების დღეს არსებული კურსით.

| მომსახურების სახე | ფასი |
|---|---|
| **საკონსულტაციო გაკვეთილები** | |
| **გაკვეთილი** - *( ხანგძლიობა 30 წთ. GSS ოფისში, ერთჯერადად)*<br>**გაკვეთილი GSS ოფისში მოსვლით 1 საათი**<br>**გაკვეთილი ოფისში გასვლით 1 საათი** | -<br>$ 9<br>$ 19 |
| **ერთმომხმარებლიანი ვერსია** | |
| ხელახალი ინსტალაცია GSS ოფისში / ინტერნეტით | $ 9 |
| ხელახალი ინსტალაცია GSS ოფისში / ინტერნეტით ყოველ დამატებით კომპიუტერზე | $ 6 |
| ხელახალი ინსტალაცია მომხმარებლის ოფისში | $ 19 |
| ხელახალი ინსტალაცია მომხმარებლის ოფისში ყოველ დამატებით კომპიუტერზე | $ 9 |
| განახლება GSS ოფისში / ინტერნეტით | $ 6 |
| განახლება GSS ოფისში / ინტერნეტით დამატებით კომპიუტერზე | $ 4 |
| განახლება მომხმარებლის ოფისში | $ 14 |
| განახლება მომხმარებლის ოფისში ყოველ დამატებით კომპიუტერზე | $ 4 |
| I ხარისხი ბაზის გასწორება | $ 14 |
| II ხარისხი ბაზის გასწორება | $ 19 |
| III ხარისხი ბაზის გასწორება | $ 24 |
| ბაზის განულება | $ 19 |
| ბაზის განულება ყოველი დამატებითის | $ 9 |
| ბაზის გაყოფა | $ 24 |

დამკვეთი _____ შემსრულებელი _____

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მომსახურების ცენტრი
ZUGDIDI MUNICIPALITY SERVICE CENTER
43737915
GEORGIA

| | |
|---|---|
| ა გაყოფა ყოველი დამატებითის | $ 14 |
| **ელური ვერსია** | |
| სერვერის ინსტალაცია GSS ოფისში / ინტერნეტით | $ 19 |
| სერვერის ინსტალაცია მომხმარებლის ოფისში | $ 29 |
| კლიენტის ინსტალაცია GSS ოფისში / ინტერნეტით | $ 9 |
| კლიენტის ინსტალაცია GSS ოფისში / ინტერნეტით ყოველ დამატებით კომპიუტერზე | $ 6 |
| კლიენტის ინსტალაცია მომხმარებლის ოფისში | $ 19 |
| კლიენტის ინსტალაცია მომხმარებლის ოფისში ყოველ დამატებით კომპიუტერზე | $ 9 |
| ბაზის ყოველდღიური ავტომატური არქივირების პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს სასურველი N რაოდენობა დღეების არქივის შენახვას (ინსტალაცია და პროგრამის გამოყენების სწავლება It თანამშრომლისთვის) GSS ოფისში / ინტერნეტით | $ 19 |
| ბაზის ყოველდღიური ავტომატური არქივირების პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს სასურველი N რაოდენობა დღეების არქივის შენახვას (ინსტალაცია და პროგრამის გამოყენების სწავლება It თანამშრომლისთვის) მომხმარებლის ოფისში | $ 29 |
| ბაზის გასწორება | $ 29 - დან |
| ბაზის განულება | $ 24 |
| ბაზის განულება ყოველი დამატებითის | $ 14 |
| ბაზის გაყოფა | $ 29 |
| ბაზის გაყოფა ყოველი დამატებითის | $ 19 |
| **ტექნიკური მომსახურება** | |
| GSS ოფისში / ინტერნეტით | $ 9 |
| მომხმარებლის ოფისში | $ 19 |

მომხმარებლის ოფისში გასვლა ხორციელდება თბილისის მასშტაბით.

დამკვეთი _____ შემსრულებელი _____

OZURGETI MUNICIPALITY SERVICE CENTER 437371915

ართი 3

**„SuperFin 6" ყოველთვიური მომსახურების ღირებულებაში შესული დამატებითი მომსახურება:**

- კითხვა-პასუხი "GSS ოფისში", ყოველ ოთხშაბათს, წინასწარი ჩაწერით;
- ქსელური და ერთმომხმარებლიანი ვერსიების განახლება;
- ქართული კლავიატურის დაყენება;
- ახალი ბაზის გახსნა ქსელურ და ერთმომხმარებლიან ვერსიებში;
- rs.ge-ის პარამეტრების გასწორება და NET Framework დაყენება;
- სუპერფინის პირველი გვერდის ჩასატვირთად Internet Explorer-ის განახლება;
- დაზიანებული ჩანაწერების წაშლა;
- ანტივირუსის გამონაკლისებში დამატება;
- მაიკროსოფტ ექაუნთზე დარეგისტრირება;
- საკონსულტაციო / პრობლემა დახმარება ინტერნეტით / თიმვიუერით;
- სადემონსტრაციო ვერსიის ინსტალაცია;
- www.gsscode.ge ვებ-გვერდზე განთავსებული კოდიფიცირებული ნორმატიული აქტების და ამავე ვებ-გვერდზე არსებული მომსახურების გამოყენების უფლება 1.1 პუნქტში მითითებული მომხმარებლების რაოდენობის შესაბამისად;

დამკვეთი _____

43737915

შემსრულებელი _____